სამართლის თემის გაშუქება მედიაში

კვლევის ავტორი: გიორგი მგელაძე

პერიოდი: 12 მარტი -12 აპრილი

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია 5 ქართული ტელეკომპანიის და მათი ჟურნალისტების მიერ 1 თვიან პერიოდში სამართლის სფეროს გაშუქების პრაქტიკა და მაგალითები. ანგარიშის მიზანია გამოავლინოს და ასახოს ტელე-ჟურნალისტების მიერ სამართლის სფეროს გაშუქებისას დაშვებული შეცდომები და მოკრძალებული რეკომენდაციები მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

ანგარიშის ფარგლებში, ჩვენ 2012 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდს ვაკვირდებოდით. მონიტორინგი ხორციელდებოდა ამ პერიოდში 5 ქართული ტელეკომპანიის ეთერში გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე (*საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი-2, იმედი, კავკასია* და *მაესტრო*).

დაკვირვების 1 თვიან პერიოდში ჩვენ ხუთივე არხზე სამართლის გაშუქებისთვის მიძღვნილი 63 სიუჟეტი შევარჩიეთ და მათი დეტალური შეფასება მოვახდინეთ. ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინე, ამ სიუჟეტებში რამდენად ირღვეოდა კანონით დადგენილი წესები თუ საყოველთაოდ აღიარებული ჟურნალისტური პრინციპები. ჩვენს მიერ შერჩეული სიუჟეტები ასე გადანაწილდა: *1 არხი* -12 სიუჟეტი; *იმედი* -17 სიუჟეტი; ტელეკომპანია *კავკასია* -5 სიუჟეტი; *მაესტრო* 10 სიუჟეტი; *რუსთავი 2* – 19 სიუჟეტი.

პრობლემის აღწერა

ჩვენი დაკვირვებით ტელეკომპანიების ჟურნალისტები ძირითადად 2 ტიპის შეცდომებს უშვებენ. 1. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტების აფიშირება. 2. სიუჟეტების გმირების პირად ცხოვრებაში ჩარევა.

რეგულირება

საქართველოში მაუწყებლების და მათ შორის ტელეკომპანიების ჟურნალისტების მიერ ამა თუ იმ სფეროს გაშუქების წესებს **მაუწყებელთა ქცევის კოდექსი** ადგენს. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი 2009 წლის მარტში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა და მაუწყებლებისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტია. ამ კოდექსის მე-12 თავი მთლიანად დანაშაულის და ანტისოციალური ქმედების გაშუქებას ეძღვნება. ჩვენ რამდენიმე ძირითად დათქმას შემოგთავაზებთ.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 48 -ე მუხლი დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების ქაშუქების პრინციპს ადგენს "მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაული ან გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და ანტისოციალური ქმედება. დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის."

კოდექსის 49-ე მუხლი მაუწყებლის მიერ დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქების წესებს ადგენს, ჩვენ ამ წესების ნაწილს აქვე გთავაზობთ:

1. მაუწყებლმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაულის ჩადენა ან გამოიწვიოს ანტისოციალური ქმედება, ან რომელიც ამართლებს ან იწონებს უკანონო, ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას.

2.დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა, დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრების კანონიერი

ინტერესების დაცვა.

3.დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა არ უნდა მოახდინოს ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი სახელი საზოგადოებისთვის ცნობილია ან საქმე საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 50-ე მუხლში მოცემულია სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ დანაშაულის და ანტისოციალური ქმედების გაშუქების შესახებ. ჩვენ რამდენიმე მთავარ მათგანს მოვიყვანთ.

1.დანაშაულის ან ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას მაუწყებელმა:

ა) არ უნდა დაუშვას უსაფუძვლო პანიკის შექმნა საზოგადოებაში, ჭორების ან უსაფუძვლო ვარაუდების გავრცელება, რამაც შეიძლება გაუმართლებელი ზიანი მიაყენოს პირის რეპუტაციას ან კანონიერ ინტერესებს;

ბ) მაუწყებელი უნდა დაეყრდნოს საგამოძიებო ორგანოებისა და ექსპერტების დასკვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მაუწყებელი საკუთარ ჟურნალისტურ გამოძიებას ატარებს, რომელიც გამოავლენს ოფიციალური გამოძიების უზუსტობას, წინააღმდეგობრიობას ან ინერტულობას და ფლობს საკმარის ინფორმაციას სანდო ჟურნალისტური შეფასების გაკეთებისათვის.

“სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ან სასამართლო პროცესის გაშუქებისას, მაუწყებელმა უნდა გააშუქოს საბოლოო განაჩენი და მიიღოს ყველა გონივრული ზომა ადამიანის რეპუტაციისათვის გაუმართლებელი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.”

“მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული თანახმაა და არსებობს საზოდოებრივი ინტერესი.”

“მაუწყებელმა, როგორც წესი, არ უნდა ჩამოართვას მოწმეს ინტერვიუ სასამართლო განაჩენის გამოტანამდე, გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი”

ეს იმ დათქმების ჩამონათვალია, რომლებსაც მაუწყებლების ჟურნალისტები ყველაზე ხშირად არღვევენ.

გარდა მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა ჟურნალისტურ საქმიანობას ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაც არეგულირებს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 2009 წელს დაფუძნდა, წლის მიწურულს 140-მდე ჟურნალისტმა 11 პუნქტში ჩამოყალიბებულ -აღიარებულ ჟურნალისტურ პრინციპებს მოაწერეს ხელი და ამ პრინციპების დაცვის ვალდებულება აიღეს.

სამწუხაროდ ტელეკომპანიებში მომუშავე ჟურნალისტების მხოლოდ მცირე ნაწილია ქარტიის ხელმომწერი, რაც მაუწყებელთა ხელმძღვანელობის დამოკიდებულების ბრალი უნდა იყოს.

ნაციონალური მაუწყებლები ქარტიის შექმნასა და ფორმირებაში მონაწილეობას არ იღებდნენ და არც მათი ჟურნალისტები გამხდარან ქარტიის ხელმომწერები.

დღევანდელი წესდებით ეთიკის ქარტია მხოლოდ მისი ხელმომწერი ჟურნალისტების წინააღმდეგ შეტანილ განცხადებებს იხილავს და მას უფლება-მოსილება არ გააჩნია რომელიმე ტელეკომპანიის, არახელმომწერი ჟურნალისტის მიერ ჟურნალისტური პრინციპების დარღვევა შეაფასოს. მიუხედავად ამისა ამ ანგარიშში ეთიკის ქარტიის აღიარებული პრინციპეპის მოტანა სავალდებულოდ მივიჩნიეთ, რათა ჟურნალისტებისთვის და საზოგადოებისთვის მეტი რამ იყოს ცნობილი ჟურნალისტური სტანდარტების შესახებ.

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.
2. დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.
3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.
4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.
5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.
6. ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.
7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის

საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.
8. ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.
9. სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან.
10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.
11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:
• ფაქტის განზრახ დამახინჯება;
• ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;
• პლაგიატი.

ქარტიის ხელმომწერი ჟურნალისტების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ქარტიას განცხადებით მიმართოს, რომლის 9 წევრიანი საბჭოც საქმეს იხილავს და ადგენს დაარღვია თუ არა მოპასუხე ჟურნალისტმა აღიარებული პრინციპეპიდან რომელიმე. დარღვევის შემთხვევაში სანქცია არ არსებობს, უბრალოდ საჯაროდ ქვეყნდება, რომ ამა და ამ ჟურნალისტმა ესა და ეს პრინციპი დაარღვია. ქარტიის მთავარი მიზანია, ჟურნალისტებმა თავად, გარე ძალების ჩარევის გარეშე აამაღლონ საკუთარი სტანდარტი.

დარღვევები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩვენი დაკვირვებით ტელეკომპანიების ჟურნალისტები ძირითადად 2 ტიპის შეცდომებს უშვებენ. 1. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტების აფიშირება. 2. სიუჟეტების გმირების პირად ცხოვრებაში ჩარევა. ჩვენ ამ საკითხებს თანმიმდევრობით, კონკრეტული სიუჟეტების მაგალითზე მიმოვიხილავთ.

უდანაშაულობის პრეზუმფცია და მაუწყებლები

ყველაზე ხშირად ქართულ მაუწყებლებში ამ პრინციპის დარღვევა ხდება. პრეზუმფციის დამრღვევის როლში სამართალდამცავები ან სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები გვევლინებიან. ჟურნალისტის მთავარი "დანაშაული" დარღვევების გაშუქება - ტირაჟირებაში მდგომარეობს.

ცნება „უდანაშაულობის პრეზუმფცია" ევროპული კანონმდებლობის იდენტურადაა განმარტებული ქართულ კანონმდებლობაში: *„ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით."* სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ზემოთ მოტანილი ჩანაწერი ამბობს, რომ კონკრეტული პირი მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე უდანაშაულოდ ითვლება და მისი დამნაშავედ მოხსენიება, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად ჩაითვლება.

ქართული კანონმდებლობა ამ კუთხით გარკვეულ დამატებით დათქმას აკეთებს მაუწყებლებისთვის, კერძოდ: მაუწყებელთა ქცევის კოდექსი რომელიც მაუწყებლებისთვის სავალდებულო ხასიათის დოკუმენტია, **48-ე მუხლში** ამბობს- „მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაული ან გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და ანტისოციალური ქმედება. დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო მეორე მხრივ, **უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის.**

მიუხედავად ასეთი საკანონმდებლო დათქმებისა ქართული მაუწყებლების ეთერში მრავლად შეხვდებით ფაქტს, როცა რამდენიმე საათის წინ დაკავებულ პიროვნებას (რომლისთვისაც ჯერ ოფიციალურად ბრალიც კი არ წაუყენებიათ) დამნაშავედ, კრიმინალად, მკვლელად და ა.შ. მოიხსენიებენ. იყო რამდენიმე შემთხვევა როცა ტელეეთერში დამნაშავედ გამოცხადებული სუბიექტი საბოლოოდ უდანაშაულო აღმოჩნდა.

მაგალითები

1 არხი - მოამბე 20 საათზე

2012 წლის 4 აპრილს 20 საათიან მოამბეში გავიდა სიუჟეტი - ყაჩაღური თვდასხმა გორის ინტერნეტ კაფეზე. მოამბის წამყვანმა სიუჟეტის წარმდგენ ტექსტშივე დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის და ჟურნალისტური სტანდარტებით

აღიარებული პრინციპები.
“ყაჩაღური თავდასხმა გორის ინტერნეტ კაფეზე და გაძარცვული ოჯახი ხაშურის რაიონში. ორ წლიანი ძებნა დასრულებულია. სამართალდამცავებმა შიდა ქართლსა და მცხეთა მთიანეთში მოქმედი დაჯგუფება დააკავეს. **დამნაშავეები** განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ბრალდებულებმა სოფელ ვაყაში ოჯახი იარაღის მუქარით გაძარცვეს, **ყაჩაღებმა** სახლიდან ფული და ძვირფასი ნივთები წაიღეს. გორში კი ინტერნეტ კაფეში მყოფ მოქალაქეებს, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ. **ბოროტმოქმედებმა** მათ ხელ-ფეხი შეუკრეს და კომპიუტერები გაიტაცეს. დაკავებულები ძირითადად შიდა ქართლში მოქმედებდნენ. “

დამნაშავეები; ყაჩაღებმა; ბოროტმოქმედებმა - მოამბის წამყვანის მიერ დაკავებული ახალგაზრდების მიმართ ამ ეპითეტების გამოყენებას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა. სიუჟეტის ეთერში გასვლის დროს დაკავებულები მხოლოდ ბრალდებულები შეიძლება ყოფილიყვნენ. მათთვის ზემოხსენებული რომელიმე სტატუსის მინიჭებას მხოლოდ სასამართლოს მიერ მათ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი განაპირობებდა, ისიც განაჩენის დადგომიდან 2 კვირაში მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. მოამბის წამყვანისა და ჟურნალისტისთვის პოლიციის მონათხრობი და ახალგაზრდების აღიარებითი ჩვენებები საკმარისი აღმოჩნდა მათთვის უმძიმესი სამართლებრივი სტატუსების მისანიჭებლად, როცა არსებული კანონმდებლობით ბრალდებულს სასამართლოს მიმდინარეობის დროს შეუძლია გადათქვას გამოძიების დროს მიცემული ჩვენება და უპირატესობა მის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას მიენიჭება.

2012 წლის 29 აპრილს მოამბეში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით “გახსნილი დანაშაული.” სიუჟეტში ლამისყანაში მოხდარი მკვლელობის შესახებ იყო მოთხრობილი. წამყვანმა ყველა ჯერზე სავარაუდო დამნაშავე მკვლელობაში ეჭვმიტანილად მოიხსენია, თუმცა ამბავი სრულდება ერთ–ერთი ლამისყანელის ინტერვიუთი, სადაც ჟურნალისტი რესპოდენტს ეკითხება - იცნობდა თუ არა მკვლელს. აქაც პრობლემა წინა მაგალითის ანალოგიურია. ჟურნალისტს არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი საფუძველი სავარაუდო დამნაშავე “მკვლელად” მოეხსენიებინა. ეს ფაქტიც სამართლის გაშუქების ელემენტარული პრინციპის დარვევაზე მეტყველებს.

ტელეკომპანია კავკასია, საინფორმაციო გამოშვება “დღეს”

2012 წლის 12 მარტს კავკასიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა ინფორმაცია კახეთში “ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის” დაკავების შესახებ.

წამყვანმა 9-ვე დაკავებულის ვინაობა ჩამოთვალა და პოლიციის მიერ გავრცელებული აღიარებითი ჩვენებების ფრაგმენტებიც გაავრცელა. “ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები თავს ესხმოდნენ ოჯახებს” ნათქვამია წამყვანის ტექსტში, შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეო მასალის ფონზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტექსტიც შ.ს.ს-ს მიერ გავრცელებული განცხადებიდანაა, თუმცა წამყვანი ამაზე ცხადად მინიშნებას არ აკეთებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ 9-ვე დაკავებული “ყაჩაღებად” ყოველგვარი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეა გამოცხადებული.
აქვე აღსანიშნავია, რა ინტერესესს ემსახურება ამბის ასე ცალმხრივად, მხოლოდ პოლიციის მასალაზე დაყრდნობით გაშუქება და ყველა დაკავებულის იდენტიფიცირება, როცა საეჭვოა ამ დაკავების მიმართ საზოგადოების მაღალი დაინტერესება. მაშინ როცა მაუწყებელთა ქცევის კოდექსში აღნიშნულია, რომ “დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა არ უნდა მოახდინოს ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი სახელი საზოგადოებისთვის ცნობილია ან საქმე საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა.”

ტელეკომპანი მაესტროს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ახალი ამბები -21 საათზე.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტები არ დაგვიფიქსირებია, ეს შესაძლოა კრიმინალური ფაქტების გაშუქების სიმცირითაა განპირობებული, ნაციონალური მაუწყებლებისგან განსხვავებით მაესტრო ასეთ ამბებს ნაკლებ დროს უთმობს.

ტელეკომპანია რუსთავი 2 საინფორმაციო გამოშვება კურიერი 9 საათზე

4 აპრილს კურიერში გავიდა სიუჟეტი შიდა ქართლში, ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი 4 კაციანი ჯგუფის დაკავების შესახებ.
“**ყაჩაღები** რომელსაც პოლიცია ორი წელზე მეტი ეძებდა დააკავეს. უკვე ცნობილია ის ორი გახმაურებლი საქმეც რომელშიც **კრიმინალური დაჯგუფების** წევრები მონაწილოეობდნენ. თავდამსხმელებს ტექნიკა, ფული და ძვირფასეულობა მიჰქონდათ და ამას ცეცხლსასროლი იარაღებითა და ხელყუმბაებით შეიარაღებული 4 ჯკაციანი ჯგუფი განსაკუთრებული სისასტიკით სჩადიოდა.”

კურიერის წამყვანმა ამ რამდენიმე ხაზიან ტექსტში, რამდენიმე შეუსაბამო ტერმინი გამოიყენა: **ყაჩაღები; კრიმინალური დაჯგუფების წევრები; თავდამსხმელები;**

განსაკუთრებული სისასტიკით სჩადიოდა;" ჟურნალისტს იმ ეტაპზე ასეთი შეფასებითი ფრაზების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა, დაკავებულებს იმ დროს მხოლოდ ბრალდებულის სტატუსი ჰქონდათ და მათთვის დანაშაულის დამტკიცება სასამართლოს პრეროგატივა იყო.

6 აპრილს კურიერში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით - ტრეფიკიორების ქართულ-თურქული დაჯგუფება.
კურიერის წამყვანის ტექსტის მიხედვით: "ანტალიაში მიმტანად მუშაობის ნაცვლად, საქართველოდან მოტყუებით წაყვანილ ქალებს, იქ სულ სხვა სამუშაო ელოდებოდათ. თურქეთში ჩასულ გოგონებს რესტორნების ნაცვლად საროსკიპოებში ანაწილებდნენ." **"დანაშულებრივი ჯგუფი", „ დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი"** ამ ფრაზებს რუსთავი 2-ს ჟურნალისტი მხოლოდ შ.ს.ს-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ შემთხვევაში დაკავებულების აღიარების გარეშეც კი იყენებდა. სიუჟეტიდანვე ირკვევა, რომ დაკავებულებს იმ პერიოდში ოფიციალური ბრალიც კი არ ჰქონდათ წარდგენილი.

ტელეკომპანია იმედი-საინფორმაციო გამოშვება ქრონიკა-20 საათზე

12 მარტს კახეთში, ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი პირების დაკავება, ქრონიკამ შემდეგნაირად გააშუქა: "განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი, 6 ყაჩაღობა და **დანაშაულებრივი ჯგუფი**, 2011-2012 წლებში 9 კაციანმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ კახეთის სოფლებში, ერთი და იგივე ხელწერით დაახლოებით, 50 ათასამდე ლარი და ოქროულობა იარაღის მუქარით, მიითვისეს." **"დანაშაულებრივი ჯგუფი" "ბოროტმოქმედები"** ამ ეპითეტებით მოიხსენიებს ჟურნალისტი დაკავებულებს. პრობლემა აქაც ზემოთ მოყვანილი მაგალითების იდენტურია - შეუსაბამო ტერმინები და მხოლოდ პოლიციის ინფორმაციაზე დაყრდნობით - დაკავებულების დამნაშავეებად მოხსენიება.

4 აპრილს შიდა ქართლში ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ჯგუფის დაკავება ქრონიკამ ასე გააშუქა: "სამარდალდამცავებმა **ყაჩაღური ჯგუფის წევრები** დააკავეს" " 4 კაციანმა ჯგუფმა გორში ინტერნეტ კაფე **დააყაჩაღა" "ყაჩაღური ჯგუფის წევრები სასტიკი ქცევითაც გამოირჩეოდნენ**" ამ ტერმინებით ჟურნალისტები დაკავებულებს, მხოლოდ პოლიციის მიერ მიწოდებულ მასალებზე დაყრდნობით მოიხსენიებდნენ. იმ დროს დაკავებულებს ოფიციალურად ბრალიც არ ჰქონდათ წარდგენილი და მათი ზემოხსენებული სტატუსებით მოხსენიება, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული.

პირადი ცხოვრების ხელყოფა

გარდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევისა მონიტორინგის დროს კერძო ცხოვრებაში ჩარევის რამდენიმე მაგალითიც გამოიკვეთა.
არადა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-10 თავი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ეძღვნება
34-ე მუხლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს ასე განმარტავს "მაუწყებელმა პროგრამების მომზადებისას და მათი ეთერში გაშვებისას არ უნდა დაუშვას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა. მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის."

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ მიღებულ პრინციპეპშიცაა საუბარი, მე-10 პუნქტი ადგენს, რომ ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

მონიტორინგის პერიოდში პირადი ცხოვრების დეტალების გამჟღავნების ნათელი მაგალითი იყო მაუწყებლების მხრიდან თბილისში, რადიანის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტი. შეგახსენებთ, რომ 3 აპრილს რადიანის 7 ნომერში გარდაცვლილი ცოლ-ქმარი იპოვეს.

1 არხი- საინფორმაციო გამოშვება "მოამბე": " წინასწარი ინფორმაციით ქმარმა ცოლს **ეჭიანობის ნიადაგზე** ესროლა, რის შემდეგაც თავი მოიკლა. ადგილზე იარაღია ნაპოვნი. 4 გასროლა დღის ორ საათზე მოხდა, 53 წლის მიხეილ მახაშვილმა საკუთარ მეუღლეს ესროლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. **მკვლელობის ერთ-ერთ სავარაუდო ვერსიად ეჭვიანობა სახელდება**. მახაშვილის ახლობლები ეჭვიანობის ვერსიას გამორიცხავენ, თუმცა გაუგებარია მკვლელობის მიზეზი. კიდევ ერთი ვერსია რასაც პირად საუბარში ამბობენ მახაშვილის **ფსიქიური მდგომარეობაა. ერთ-ერთი ვერსიით ტრანკვილიზატორებს იღებდა**."

ჩამოთვლილი შეფასებები და დასკვნები მოამბის ჟურნალისტმა ყოველგვარი ღია და დადასტურებული წყაროს გარეშე გააკეთა, აქ საყურადღებოა დანაშაულის მოტივად ეჭვიანობის გაჟღერება, რაც პირად ცხოვრებაში ჩარევაა და მინიმუმ არაეთიკურია. ასევე არ შეიძლება ჟურნალისტს გაეჟღერებინა ინფორმაცია აწ გარდაცვლილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ესეც პირის პირად ინფორმაციას მიეკუთვნება, მიუხედავად ამისა მოამბის ჟურნალისტმა გარდაცვლილის ფსიქიკურ მდგომარეობაზე და მის მიერ მიღებული მედიკამენტების შესახებაც ისაუბრა. ჟურნალისტმა გარდაცვლილი მამაკაცი მკვლელად მოიხსენია. აქვე ნიშანდობლივია

ისიც, რომ სიუჟეტში გამოყენებულია გარდაცვლილების ფოტოები, რომლებიც სავარაუდოდ სოციალური ქსელის მეშვეობითაა მოპოვებული. გარდაცვლილები არ წარმოადგენდნენ არც საჯარო მოხელეებს და არც საჯარო პირებს, რომ მათ მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი ყოფილიყო, ამიტომაც ჟურნალისტი ამ ამბის გაშუქებისას უფრო ფრთხილი უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული ფაქტი ანალოგიურად გააშუქა ტელეკომპანია კავკასიამაც: " რადიანის 7 -ში მომხდარი მკვლელობის ერთადერთ ვერსიად ეჭვიანობა განიხილება. არსებული ინფორმაციით 52 წლის ნიკოლოზ მახაშვილმა 40 წლის მანანა ზუბიაშვილი, **ეჭვანობის ნიადაგზე მაკაროვის სიტემის ცეცხლსასრული იარაღით მოკლა**, რის შემდეგაც თავი მოიკლა." აღნიშნულია კავკასიის ეთერში გასულ მასალაში. 1 არხისგან განსხვავებით კავკასიას გარდაცვლილების პირადი ფოტოები არ გაუსაჯაროებია.

ამ ამბის გაშუქებისას ოდნავ თავშეკავებული იყო ტელეკომპანია მაესტრო "ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობის მოტივად ოჯახური კონფლიქტი სახელდება. ამ ვერსიის თანახმად 53 წლის ნიკოლოზ მახაშვილმა, მოკლა მისი მეუღლკე 40 წლის მანანა ზუბიაშვილი. რის შემდეგაც თავი მოიკლა. არაოფიციალური ინფომრაციით შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია მკვლელობის იარაღი. " მაესტროს დანაშაულის მოტივად ეჭვიანობა არ დაუსახელებია და არც გარდაცვლილების ფოტოები უჩვენებია.

რუსთავი 2-ს საინფორმაციო გამოშვებაში კურიერი 21 საათზე, რადიანის 7 ნომერში მომხდარი ფაქტის შესახებ 1 სიუჟეტი 4 აპრილსაც გავიდა. ამ სიუჟეტში ცოლ-ქმრის გარდაცვალების შემდეგ სამართალდამცავების მიერ გადაღებული ფოტოები იყო ნაჩვენები. აქვე მოხდა ეჭვიანობის მოტივზე საუბარიც და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ გარდაცვლილი მახაშვილი "**ძლიერ მოქმედ ფსიქოტროპულ პრეპარატებს იღებდა"** ამ სიუჟეტშივე ნაჩვენებია ოჯახის ახლობის ფარულად გადაღებული ინტერვიუ, სადაც რესპოდენტი ქალბატონი გარდაცვლილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საუბრობს. აღსანიშნავია, ის რომ სავარაუდოდ ოჯახური ტრაგედია ტელეკომპანიებმა საზოგადოების განსჯის თემად აქციეს, 2 დღის განმავლობაში თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვება ამ ამბით იწყებოდა, ნიშანდობლივია ის, რომ გარდაცვლილები საჯარო პირებს არ წარმოადგენდნენ და მათ მიმართ საზოგადოების მომეტებული ლეგიტიმური ინტერესი არ არსებობდა. ამ ფონზე გარდაცვლილების და მათი ახლობლების პირად ცხოვრებაში ჟურნალისტის ჩარევა დაუშვებელია.

რადიანის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია კურიერის იდენტურად გააშუქა ტელეკომპანია იმედის საინფორმაციო გამოშვება ქრონიკამაც. სიუჟეტში საუბარია გარდაცვლილი მახაშვილის მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარებაზე. აქაც იგივე ახლობლის ფარული ჩანაწერია მოყვანილი, სადაც ოჯახის ახლობელი ქალბატონი გარდაცვლილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრობს. აქაც გაჟღერებულია ეჭვიანობის მოტივი.

მაუწყებლების კიდევ ერთი პრობლემა კრიმინალური ისტორიის მხოლოდ პირველადი გაშუქებაა, თითქმის ვერ შეხვდებით ფაქტს, როცა ტელეკომპანიამ მის მიერ გაშუქებული ამბის დასასრულიც გააშუქოს, ამიტომაც ორმაგად საფრთხის შემცველია დაკავებულებისთვის დანაშაულის შემცველი იარლიყების მიწებება, მაშინ როცა მათი საქმის საბოლოო განაჩენზე საზოგადოებას აღარაფერს ვამცნობთ. ანალოგიური მოხდა რადიანის ქუჩაზე მომხდარი შემთხვევის დროსაც, არც ერთ მაუწყებელს ისეთივე ხმაურით და მონდომებით აღარ გაუშუქებია ამ საქმის გაგრძელება. დანაშაულის მოტივი, ექსპერტიზის პასუხი და გამოძიების საბოლოო დასკვნა.

დასკვნა

ზემოთ განხილული სიუჟეტეებით, ჩვენ სამართლის-კრიმინალის გაშუქების ზოგადი ტენდეციები ვაჩვენეთ, ჩვენ ყურადღება იმ სიუჟეტებზე გავამახვილეთ სადაც აღიარებული წესების და ჟურნალისტური პრინციპების უგულვებელყოფა იყო ასახული. საბედნიეროდ მაუწყებლების ეთერში მრავლადაა სიუჟეტები როცა ჟურნალისტი წესების დაცვით აშუქებს მოვლენას და დაკავებულებზე ან დაზარალებულებზე გაუმართლებელი იარლიყების მიკერება არ ხდება.

რეკომენდაციები

სამართლის სფეროს ხარვეზების გარეშე გაშუქება ჟურნალისტების მაღალ პროფესიონალიზმს და სამართლებრივი ტერმინოლოგიის მინიმალურ ცოდნას საჭიროებს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში რესპოდენტები, სამართალდამცავები არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და ბრალ-დაუმტკიცებელ დაკავებულს დამნაშავედ, კრიმინალად ან ბოროტმოქმედად მოიხსენიებენ. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტი მაქსიმალურად უნდა მოერიდოს ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებების ტირაჟირებას და ყოველი ახალი ბრალდების წინ უნდა დააკონკრეტოს, რომ ინფორმაცია სამართალდამცევის მონათხრობს ეყრდნობა.

ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრაში საზოგადოების მონაწილეობა. რის საფუძველსაც მაუწყებელთა ქცევის კოდექსი იძლევა. კოდექსის მე-9 მუხლი მაუწყებელს ეფექტური თვითრეგულირების მექანიზმის არსებობას ავალდებულებს. პრაქტიკის თანახმად მაუწყებლებში შექმნილია სპეციალური საბჭო, რომლებსაც საზოგადოების წევრების მიერ შეტანილი საჩივრების განხილვა ევალება.

მუხლი 9. საჩივრის განხილვა
1. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესი.

2. საჩივრები განიხილება დროულად, გონივრულ ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, მაუწყებელი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

მაუწყებლებს კოდექსი სააპელაციო კომისიის შექმნასაც ავალდებულებს

მუხლი 10. მაუწყებლის მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. საჩივრის თაობაზე მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ქმნის მაუწყებელი ან მათი გაერთიანება.
2. სააპელაციო ორგანოს უფლება აქვს უარი თქვას აპელაციის არსებით განხილვაზე და ძალაში დატოვოს მაუწყებლის გადაწყვეტილება საჩივარზე, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა, ხოლო მაუწყებლის გადაწყვეტილება დასაბუთებული
3. სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები, არ უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში.
4. სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.
5. დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ მოითხოვონ, სააპელაციო ორგანოს წევრის აცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველზე. გადაწყვეტილება სააპელაციო ორგანოს წევრის აცილების შესახებ მიიღება სააპელაციო ორგანოს მიერ ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
6. სააპელაციო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება 30 დღის ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 30 დღეზე მეტი ვადა სააპელაციო ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი

გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით საჩივრების განხილვა გამჭვირვალედ უნდა მოხდეს

მუხლი 11. გამჭვირვალე და სამართლიანი განხილვა
1. საჩივრის განხილვისას მაუწყებელმა (სააპელაციო ორგანომ) უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის დასწრება.
2. საჩივართან და სააპელაციო საჩივართან აპელაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.
3. მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

მაუწყებლის ჟურნალისტის მხრიდან ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში მოქალაქეებს შეუძლიათ ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს მიმართონ და ქმედების შესწავლა და შეფასება მოითხოვოს, თუმცა აქ აღსანიშნავია მთავარი რამ, საბჭო მხოლოდ ქარტიის ხელმომწერი ჟურნალისტების და რედაქტორების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განხილვაზეა უფლებამოსილი. თუ სავარუდო დამრღვევი ქარტიის ხელმომწერია პროცედურა მარტივია, განმცხადებელმა ზემოთ ჩამოთვლილი ქარტიის 11 პრინციპიდან ერთის ან რამდენიმე პუნქტის დარღვევაში უნდა დადოს ბრალი მოპასუხეს და ამის შესახებ ქარტიას წერილობით აცნობოს. საბჭო განცხადებას 1 თვეში განიხილავს და შედეგს საჯაროდ აქვეყნებს.

ამ ანგარიშში წინა ანგარიშთან შედარებით დარღვევები ნაკლები რაოდენობითაა, ვიმედოვნებთ ჟურნალისტების, მათი ხელმძღვანელების და საზოგადოების მეტი ყურადღება და აქტივობა ამ პრობლემას დროულად გადაჭრის.